№962 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საქართველოს ეროვნულ არქივს, რომ გადასცეს შპს „ფროჯექთ სითის“ (საიდენტიფიკაციო კოდი – 405077606), არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირით (პირველი პროექციის გაშვების დღიდან) – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, 230 კვ.მ და „DEEHUBS LIMITED“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი – 603-493-330), არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირით – სარეკლამო შემოსავლის 50%-ის ოდენობით, 144 კვ.მ, სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.

№1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ №01.10.14.005.027) ფასადის ნაწილი, რეკლამის განთავსების მიზნით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – საქართველოს ეროვნულმა არქივმა, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**